

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოში:  
სტრუქტურული და კულტურული ფაქტორები

თამარ მესხი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე უმაღლესი განათლების ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

უმაღლესი განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდღულაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნაშუქვარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებულად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად*

*თამარ მესხი, 22/06/2018*

## აბსტრაქტი

უმაღლესი განათლების მისაღებად ხელმისაწვდომი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანია ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის. თუმცა არსებობს არაერთი გარემოება, რაც ამ პროცესს აფერხებს. წინამდებარე ნაშრომში აღწერილი და შეფასებულია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის დონე საქართველოში, მასთან დაკავშირებული პრობლემები და ამ პრობლემებთან გასამკლავებლად შემუშავებული პროგრამები. საქართველოში არსებული გარემო უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით განხილულია საერთაშორისო კონტექსტში. ნაშრომში რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით შეფასებულია აბიტურიენტების სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების ეფექტი განათლების ხელმისაწვდომობაზე, კერძოდ, მისაღები გამოცდების შედეგებზე. ასევე, თვისებრივი კვლევის მეთოდებით, გაანალიზებულია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების აღქმა და მოსაზრება უმაღლესი განათლებაში თანასწორი და სამართლიანი გარემოს შესახებ.

ნაშრომის შედეგად აიხსნება, თუ რა ეფექტი აქვს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობაზე სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფისადმი მიკუთვნებას და როგორ აღიქვამს საზოგადოება უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას და თანასწორ გარემოს.

**საკვანძო სიტყვები:** *ხელმისაწვდომობა, თანასწორობა, უმაღლესი განათლება, სოციალური კაპიტალი. სოციო-ეკონომიკური სტატუსი. საზოგადოებრივი აზრი.*

## **Abstract**

Providing with accessible environment for higher education is important factor for future development of a country. However, there are circumstances preventing accessibility. The research presented below evaluates level of accessibility in Georgia, its concerning problems and programs implemented against the problems. Accessibility of higher education in Georgia is discussed within international context. Quantitative methods are used to assess the effect of high school entrant's socio-economic characteristics on educational accessibility – in particular, on the results of entrance examinations. Also, qualitative methods are used for analyzing public attitude towards equitable and just environment in higher education.

The research explains the effect of a student's socio-economic characteristics on accessibility of higher education and also, attitude and perception of society towards equal environment and justice in higher education.

**Key words:** accessibility, equity, higher education, social capital, socio-economic status, public opinion

## მადლობა

პირველ რიგში, მადლობას ვუხდით სამეცნიერო ხელმძღვანელს, ნათია ანდლულაძეს, როგორც სამაგისტრო ნაშრომის შექმნის პროცესში გაწეული დახმარებისთვის, ასევე, სწავლის პროცესში ჩემს აკადემიურ და პიროვნულ განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

მადლიერებას გამოვხატავ რესპონდენტების მიმართ, რომელთაც თავიანთი მოსაზრებების გაზიარებით კვლევის პროცესს ნაყოფიერება შემატეს.

ასევე, მადლობას ვუხდით ცირა კილანავას მისი წვლილისთვის ჩემი აკადემიური წერის უნარების დახვეწაში.

მადლობას ვუხდით ჩემს ჯგუფელებს, რომლებთან ურთიერთობაც ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო როგორც სწავლის პროცესში, ასევე, უნივერსიტეტს გარეთ გაგრძელებული მეგობრობისა და თანამშრომლობის ფარგლებში.